ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ # 26

ქ. თბილისი 20 მარტი 2017 წელი

ერთის მხრივ **თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი** (შემდგომში "შემსყიდველი") და მეორეს მხრივ **შპს „საგა იმპექსი"** (შემდგომში "მიმწოდებელი") ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის 1 (ერთი) ცალი 80 კვადრატიანი გაზის გამათბობლის /39721411_CPV/ შესყიდვა.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 450 (ოთხასოცდაათი) ლარს, დღგ-ს ჩათვლით.

2.3. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის ღირებულებას, მისი გადაცემასთან დაკავშირებულ ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

2.3. დაფინანსების წყარო – 2017 წლის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტი.

3. მხარეთა უფლება_მოვალეობანი

"მიმწოდებელი" ვალდებულია:

3.1. 2017 წლის 20 მარტიდან 2017 წლის 27 მარტამდე უზრუნველყოს შემსყიდველისათვის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის 1 (ერთი) ცალი 80 კვადრატიანი გაზის გამათბობელის გადაცემა.

3.3. გადაცემული საქონლის შემოწმებისას დაზიანებული აღმოჩენის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს მისი ხარისხიანით შეცვლა, შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნიდან 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში.

"შემსყიდველი" ვალდებულია:

3.3. ხელშეკრულებით განსაზღვრული ხარისხიანი საქონლის დროულად გადაცემის შემდეგ ამ ხელშეკრულების მე-4 პუნქტით განსაზღვრული პირობებითა და ვადებში აუნაზღაუროს მიმწოდებელს საქონლის ღირებულება.

4. ანგარიშსწორება

4.1. უნაღდო ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების შემდეგ და შესაბამისი ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

4.2. ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.

5. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

5.1. ხელშკრულების 3.1 პუნქტის დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელი იხდის ჯარიმას,სახელეკრულებო ღირებულების 0.02% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

5.2. აღნიშნულ ჯარიმას შემსყიდველი გამოუქვითავს მიმწოდებელს მიწოდებული საქონლის გადასახდელი თანხიდან.

5.3. საჯარიმო სანქციის გადახდა არ ანთავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულების შესრულებისაგან.

5.4. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს სახელშეკრულებო ღირებულების 0.1%-ს, მემსყიდველს უფლება აქვს, შეწყვიტოს ხელშეკრულება მიმწოდებელთან მოსთხოვოს დაკისრებული ჯარიმის ანაზღაურება ან/და გამოუქვითოს გადასახდელი თანხიდან.

5.5. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან მათი არასათანადოდ შესრულებისას შემსყიდველი იხდის ჯარიმას გადაუხდელი თანხის 0.02%-ს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

5.6. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში,მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო შესასრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.02 %-ის ოდენობით,რომლის შემთხვევაშიც შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ჯარმის გადახდა ან/და დაუკავოს გადასახდელი თანხიდან.

5.7 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების არაუმეტეს 20 %-ის ოდენობით.

5.8 ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო შესასრულებელი ვალდებულების ღირებულების არაუმეტეს 10%-ის ოდენობით.

6. მიღება-ჩაბარების წესი

6.1. ხელშეკრულებით განსაზღვრული საქონლის მიწოდების დასრულების შემდეგ ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი, რომელსაც ხელს აწერს ორივე მხარე.

7.გარანტია

7.1 მოწოდებული საქონლის საგარანტიო ვადა მისი ექსპულატაციაში მიღებიდან არის 2 (ორი) წელი, რომლის განმავლობაშიც შემსრულებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ექსპულატაციის პროცესში წარმოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრა, შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნიდან არაუგიანეს 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში.

8. ფორს-მაჟორი

8.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგი.

8.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარებისათვის გადაულახავ ან მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველსა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

8.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებებისა და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს იგი თავისი შეხედულებისამებრ მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობებისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

8.4. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გრძელდება ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება კომპენსაციის მოთხოვნის უფლების გარეშე.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე;

9.2 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართი სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად და დაერთვება ხელშეკრულებას.

9.3.ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

9.5. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის აუცილებლობისას ინიციატორი მხარე ვალდებულია არანაკლებ 3 (სამი) დღით ადრე მიმართოს მეორე მხარეს აღნიშნული ცვლილების აუცილებლობის დასაბუთებული წერილობითი თხოვნით. წინააღმდეგ შემთხვევაში მხარეს უფლება აქვს უარი თქვას ცვლილების განხორციელებაზე.

9.6 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის

შესახებ;

9.7. მხარე ვალდებულია არანაკლებ 2 (ორი) დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 9.6. პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების გაწზრახვის თაობაზე.

9.8. ხელშეკრულება ასევე შესაძლებელია შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. ინსპექტირების პირობები

10.1 ხელშეკრულებას ინსპექტირებას უწევს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის ქონების მართვის და მატერიალური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

11. დავის გადაწყვეტა

11.1. წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყველა დავა მხარეებს შორის წყდება მოლაპარაკების გზით.

11.2. თანხმობის მიუღწევლობის შემთხვევაში დავა წყდება სასამართლოში.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1. ხელშეკრულება ძალაშია 2017 წლის 20 მარტიდან და მოქმედებს 2017 წლის 31 დეკემბრამდე.

13. მხარეთა იურიდიული მისამართი, საბანკო რეკვიზიტები

შემსყიდველი:
თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი
მის: ქ. თეთრიწყარო, თამარ მეფის ქ. N34,
ს/კოდი: 230869254
ა/ა GE24NB0330100200165022
სახელმწიფო ხაზინა
ბ/კოდი TRESGEGE22

მიმწოდებელი:
შპს „საგა იმპექსი"
მის: ქ.თბილისი, ბელიაშვილის ქ.N145
ს/კოდი 205185235
ა/ა GE78BR0000010945870022
ს/ს „ბანკი რესპუბლიკა"
ბ/კ REPLGE22

14. მხარეთა ხელმოწერები

ბრიკლე ბუხიანიძე
თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის
პირველი მოადგილე

დავით კაკაბაძე
შპს „საგა იმპექსი"-ს დირექტორი

ნიკოლოზ ტატიშვილი
საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურის
შესყიდვების განყოფილების უფროსი

ლევან ლაბახუა
ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული
განყოფილების მთავარი სპეციალისტი